ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N21

24.04.2023 წელი *ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა #50*

15:00 საათი

მიმდინარე წლის 24 აპრილს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), ნინო კვიტაიშვილი (კომისიის წევრი) და ირაკლი ეძგვერაძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა, მოადგილე დავით კაჭარავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქ. თბილისის ლადო ასათიანის ქუჩა #50-ში მდებარე სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოების მონახულება და მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციის მოსმენა".**
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **გივი ჩხარტიშვილი.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ლადო ასათიანის ქუჩა #50-ში მშენებარე სპორტული ცენტრის შესახებ, ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მთაწმინდის რაიონის მცხოვრებლების მოთხოვნით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქალაქო სამსახურმა 2020 წელს ლადო ასათიანის ქუჩა #50-ში მდებარე სპორტული ცენტრის საპროექტო სამუშაოები შეისყიდა. შენობა, ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე რესტავრაცია/აღდგენას არ დაექვემდებარა, რის საფუძველზეც მოხდა შენობის დემონტაჟი და ახლით ჩანაცვლება. იყო გარკვეული წინაღობები პანდემიის და ობიექტის გარშემო მჭიდრო დასახლების გამო, რაც დროში დავძლიეთ. ვფიქრობთ 2023 წლის შემოდგომაზე სამუშაოები სრულად დამთავრდება და ქალაქი კიდევ ერთ სპორტულ სივრცეს შეიძენს. ცენტრში ფიტნეს დარბაზი, კრივის რინგი, საკალათბურთო მოედანი, საშხაპეები და გასახდელები განთავსდება, პროექტის ჯამური ღირებულება 4 562 084 ლარია.

კომისიის წევრებმა სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

ირაკლი ეძგვერაძე - ჯამში რამდენი კვადრატული მეტრია სავარჯიშო სივრცე და კალათბურთის მოედანი რა სტანდარტის იქნება.

ირაკლი გვილავა - 1, 600 კვადრატულ მეტრამდეა შიდა სივრცე, კალათბურთის მოედანს რაც შეეხება ფართობიდან გამომდინარე მაქსიმალურად ვეცადეთ არსებული სტანდარტების გათვალისწინება, ვფიქრობ ასაკობრივი ჯგუფებისთვის სავარჯიშოდ დამაკმაყოფილებელი სტანდარტია.

გივი ჩხარტიშვილი - პირველ რიგში მადლობა მინდა ვუთხრა გიორგი ჩაკვეტაძეს სპორტის მიმართულებით გაწეული საქმიანობისთვის თბილისის საკრებულოში და წარმატება ვუსურვო საქართველოს პარლამენტში. რაც შეეხება მიმდინარე პროექტს, მთაწმინდის რაიონისთვის მნიშვნელოვანი სივრცე იქმნება, რომელიც ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს კალათბურთის, კრივის და სპორტის სხვა დისციპლინებში.

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო

,,ქ.თბილისის ლადო ასათიანის ქუჩა #50-ში მდებარე სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოების პროცესის“ შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გივი ჩხარტიშვილი